საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

N 857 19.04.2012

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-5 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოქვეყნების მიზნით, გიგზავნით კონკურსის მეშვეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის პროექტის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს.

პატივისცემით,

დეპარტამენტის
თავმჯდომარე

დიმიტრი გეგელია

შემსრ: მ. ბერიაშვილი

0110, თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ/ფაქ:2935696

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, კონკურსის მეშვეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის პროექტის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი 19.04.2012 წ

სხდომას უძღვებოდა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგელია

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის წევრები: ბაკურ ჯიშიაშვილი, გოჩა მელიქიძე, ნიკოლოზ ქართველიშვილი, ჯონი მჭედელაძე, ხათუნა ტყემალაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: მადონა ბერიაშვილი, დავით ნიკურაძე

დღის წესრიგი: **კონკურსის მეშვეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის პროექტის შედგენის** მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება;

საკონკურსო კომისიამ განიხილა საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტები.

დაადგინეს: 1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტები (იხ. დანართები);

2) საკონკურსო კომისიის აპარატმა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე - contest@.procurement.gov.ge - გამოქვეყნების მიზნით, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გადაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის.

კომისიის თავმჯდომარე: /დიმიტრი გეგელია/

კომისიის წევრი: /ბაკურ ჯიშიაშვილი /

კომისიის წევრი: / ნიკოლოზ ქართველიშვილი/

კომისიის წევრი: /ხათუნა ტყემალაძე /

კომისიის წევრი: / გოჩა მელიქიძე /

კომისიის წევრი: /ჯონი მჭედელაძე/